საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური ალტერნატიული ანგარიში

მიმართულება 1: პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

2020 წლის პირველი ნახევარი

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები



- სამოქმედო გეგმის პოლიტიკის დაგეგმვის მიმართულებით ძირითადი პრობლემა აქტივობების განხორციელების გაჭიანურება და ვადაგადაცილებაა, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს ამოცანების მიღწევის შეფერხებას ან საერთოდ მიუღწევლობას.
- წინა მონიტორინგის მსგავსად, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ინფორმაციის სრულყოფილი მიღება პასუხისმგებელი უწყებებისგან, ასევე, ამ ინფორმაციის გადამოწმების შეუძლებლობა.
- მონიტორინგით გამოიკვეთა რისკების არასწორი მიმართულება და მათი ფორმალური ხასიათი. ზოგ შემთხვევაში რისკები საერთოდ არ იყო გაწერილი. სამოქმედო გეგმის კომპონენტის განხორციელება, ფაქტობრივად, ბოლოსწინა ფაზაშია, თუმცა მისი მიზნის ნაწილობრივ მიღწევაც არ მომხდარა.
- მონიტორინგის პერიოდში სამოქმედო გეგმით პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით გათვალისწინებული ოთხი ამოცანიდან ერთი ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო სამი შეუსრულებელია. ამოცანისთვის განსაზღვრული 10 ინდიკატორიდან ერთი მეტწილად შესრულდა, ცხრა კი შეუსრულებელია.

ამოცანების შესრულების შედეგები



ამოცანების ინდიკატორების შესრულების შედეგები

სამოქმედო გეგმით პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით გათვალისწინებული 10 აქტივობიდან სამი სრულად შესრულდა, ერთი - მეტწილად, ორი - ნაწილობრივ, ოთხი კი შეუსრულებელია. აქტივობისთვის განსაზღვრული 16 ინდიკატორიდან ოთხი სრულად შესრულდა, ერთი - მეტწილად, სამი - ნაწილობრივ, რვა კი შეუსრულებელია.

აქტივობების შესრულების შედეგები



აქტივობების შედეგის ინდიკატორების შესრულების შედეგები



რეკომენდაციები

მონიტორინგის ფარგლებში იდენტიფიცირებული ხარვეზებისა და გამოწვევების საპასუხოდ მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს:

01 თითოეული უწყების მიერ დარჩენილი აქტივობების ვადების რაციონალურად განსაზღვრა შემდგომ პერიოდში ვადების გადაცილების თავიდან აცილების მიზნით;

02 რისკების სწორი შეფასება და მათი მართვისთვის საჭირო ღონისძიებების დასახვა;

03 ტრენინგ - მოდულებთან დაკავშირებული ინდიკატორების დაკონკრეტება და მონაწილეთა კონტიგენტის მკაფიოდ განსაზღვრა;

04 სამოქმედო გეგმაში ისეთი ინდიკატორების განსაზღვრის გამორიცხვა, რომლებიც არ იქნება სპეციფიკური და გაზომვადი;

05 მთავრობის მიერ საჯარო მმართველობის რეფორმაში ახალი და ამბიციური ვალდებულებების გათვალისწინება;

06 სამოქმედო გეგმაში აქტივობების დუბლირების გამორიცხვა;

07 ალტერნატიული მონიტორინგის სრულყოფილად ჩასატარებლად ყველა პასუხისმგებელი უწყების მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ყველა იმ დოკუმენტზე, რომლებიც აქტივობის ან ამოცანის დადასტურების წყაროა.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia
IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

დოკუმენტი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია IDFI და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.